მთავრობის ოპტიმიზაცია და ,,მცირე მთავრობის'' კონცეფცია საქართველოში

მაგისტრანტი ნინო წვერავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, როგორ მიმდინარეობდა წლების წინ საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული ოპტიმიზაციის, მცირე მთავრობის ჩამოყალიბებისა და ბიუროკრატიული აპარატის შემცირების რეფორმა.

რეფორმების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე პოლიტიკურ წრეებში დღესაც ბევრს საუბრობენ, რადგან, მთავრობის დაპირების მიუხედავად, საჯარო სექტორი ისევ გადატვირთული, გაუმჭვირვალე და არაეფექტურია. ამასთან, ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და ხელოვნურად შექმნილი საშტატო ადგილები დიდ ტვირთს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და ბიუჯეტისთვის.

მართვის ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბება, ამ მხრივ ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ადმინისტრაციულ რესურსზე, ბიუროკრატიაზე, საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შემცირება ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, შეაჩეროს ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივი და არარაციონალური გადინების პროცესი და ეს თანხები სხვა, უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების მოგვარებისკენ მიმართოს.

ნაშრომზე მუშაობისას ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო დაგვედგინა, დაანონსებული რეფორმის შემდეგ, წლების განმავლობაში რა პროცესები მიმდინარეობდა საჯარო სექტორში და რამდენად იცვლებოდა არსებული მდგომარეობა. ასევე, რა იყო ძირითადი ფაქტორები, რამაც რეფორმის განხორციელებას ხელი შეუშალა.

Annotation

The aim of this research is to study if the Georgian government's announced reforms of optimization, formation of a "small government", and reduction of bureaucratic apparatus were attained.

The importance and necessity of the mentioned reforms are still being talked about a lot in political circles because, despite the government's promise, the public sector is still crowded, untransparent, and ineffective. In addition, the number of people employed in this sector and the artificially created staff positions are a great challenge for the economy and budget of Georgia.

Establishing an optimal management system, implementing innovative methods in this regard, and reducing the funds allocated from the state budget for administrative resources, bureaucracy, goods, and services will give the country the opportunity to stop the process of improper and irrational outflow of funds from the budget and redirect these funds to solving other, more important and priority issues.

While working on the paper, our main task was to determine, after the announced reforms, what processes have been taking place in the public sector over the years and how the current situation has changed. Also, what were the main factors that delayed the implementation of the reforms?